დამტკიცებულია:

დირექტორის ბრძანება N 17 „ო“ „07 “ თებერვალი 2025 წ

სსიპ კოლეჯი „ერქვანი"

შინაგანაწესი

ორგანიზაციის დასახელება: *სსიპ კოლეჯი „ ერქვანი“*

მისამართი : ქ. ამბროლაური ვაჟა-ფშაველას ქუჩა №10

ტელეფონი: (მაგთი ფიქსი) (790) 10 12 20

ქალაქი: (0439) 22 11 91

ელ.ფოსტა: koleji.erqvani @ gmail .com

ვებ.გვერდი: https://erkvani.ge/

კოლეჯის სახელფასო ანგარიში: ცენტრალური ხაზინა

კოლეჯის საბანკო ანგარიში (სპეცსახსრების): სს „ ლიბერთი ბანკის“ ამბროლაურის ფილიალი GE26LB0115113408107000

მარეგისტრირებელი ორგანიზაციის დასახელება:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება **№122/ნ 2019 წლის 19 ივნისი**, სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“ წესდების დამტკიცების შესახებ.

კოლეჯის საიდენტიფიკაციო კოდი: 222934671

თავი I 5

ზოგადი დებულებები 5

მუხლი 1. შინაგანაწესის მიზნები და მოქმედების სფერო შინაგანაწესის მიზნებია 5

მუხლი 2. მოქმედების სფერო 5

მუხლი 3. შრომითი ურთიერთობის პრინციპები 6

თავი II. 7

სამუშაო და დასვენების დრო 7

მუხლი 4. სამუშაო დრო 7

მუხლი 5. კოლეჯის სამუშაო დღის რეჟიმი 7

მუხლი. 6 შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი 8

მუხლი 7. სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაოდან წასვლის წესები 8

თავი III. 8

დასვენებისა და სადღესასწაულო დღეები, აგრეთვე ყოველდღიური სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ კოლეჯში ყოფნის პირობები და წესები 8
მუხლი 8. დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობის გამონაკლისი შემთხვევები. 8
მუხლი 9. სამსახურებრივ უფლებამოსილებათა განხორციელება არასამუშაო დროს 8
თავი IV. 9
შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, დასაქმებულის დანიშვნა, თანამდებობრივი გადაადგილება 9
მუხლი 10. კოლეჯში თანამშრომელთა მიღების წესი: 9
მუხლი 11. შრომითი ურთიერთობის გაფორმებამდე კანდიდატი ვალდებულია კოლეჯში წარადგინოს დოკუმენტაცია: 10
მუხლი 12 კოლეჯის მასწავლებლები და მათი კოლეჯში მიღების წესები და პირობები 10
თავი V. 11
პროფესიული სტუდენტი და მისი უფლება-მოვალეობები 11
მუხლი 14. პროფესიული სტუდენტი 11
მუხლი 15. პროფესიულ სტუდენტთა უფლებებიM 11
მუხლი 16.Mპროფესიული სტუდენტის მოვალეობები. 12
თავი VI. 13
მასწავლებლის უფლება მოვალეობები 13
მუხლი 17. მასწავლებელს უფლება აქვს 13
მუხლი18. მასწავლებელი ვალდებულია 13
თავიVII 14
მშობელთა/მეურვეთა უფლება-მოვალეობები 14
მუხლი 19. მშობელთა/მეურვეთა უფლებები 14
მუხლი 20. მშობელთა/მეურვეთა ვალდებულება 14
თავი VIII. 15
დასაქმებულისა და პროფესიული სტუდენტის წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა 15
მუხლი 21. დასაქმებულის წახალისების წესი 15
მუხლი 22. პროფესიული სტუდენტის წახალისების წესი 15
თავი IX. 15
სასწავლო პროცესის მონაწილეებს შინაგანაწესის დარღვევისათვის დაეკისრებათ დისციპლინარული სახდელი 15
მუხლი 23. პროფესიული სტუდენტის დიციპლინარული სახდელებია: 15
მუხლი 24. პროფესიულ სტუდენტს საყვედური შეიძლება გამოეცხადოს: 16
მუხლი 25. პროფესიულ სტუდენტს წერილობითი გაფრთხილება შეძლება გამოეცხადოს: 16

მუხლი 26. სტუდენტის სტატუსის შეჩერება 16

მუხლი 27. სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა 16

მუხლი 28. კოლეჯის პერსონალის (მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების) შესაძლო დისციპლინარული სახდელებია 17

მუხლი 29. გაფრთხილება. 17

მუხლი 30. საყვედური 17

მუხლი 31. სასტიკი საყვედური. 17

მუხლი 32. ჯარიმა 18

მუხლი 33. მასწავლებელს/კოლეჯის სხვა პერსონალს შეიძლება დაეკისროს სასჯელი. 18

სამსახურიდან განთავისუფლება 18

მუხლი 34. სასწავლო პროცესის მონაწილეებად ითვლებიან: 18

თავი X 19

კოლეჯში შრომა, სწავლება, დასვენება და ქცევის წესები. 19

მუხლი 35. დასვენების დრო 19

მუხლი 36. კოლეჯის შენობაში დაუშვებელია: 19

მუხლი 37. სამსახურში არყოფნის შეტყობინების წესი 19

მუხლი 38. სამსახურებრივ საკითხებზე განკარგულებათა მოსამსახურეებამდე დაყვანის წესი ..20

მუხლი 39. შვებულების მიცემის წესი 20

მუხლი 40. ანაზღაურებადი შვებულების გადატანის შემთხვევები 21

მუხლი 41. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება; 21

მუხლი 43. კვალიფიკაციის ამაღლებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება 22

მუხლი 44. ნარკოლოგიური შემოწმების გავლა; 23

მუხლი 45. დავები და მათი გადაწყვეტის წესი 23

თავი XI 23

შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქცია 23

მუხლი 46. დასაქმებულთა ვალდებულებები შრომის დაცვის უზრუნველსაყოფად 23

მუხლი 47. შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის წესი 24

თავი I

ზოგადი დებულებები

სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“ შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის **№. 122**/ნ **2019** წლის **19** ივნისი ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“ წესდების და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

მუხლი 1. შინაგანაწესის მიზნები და მოქმედების სფერო შინაგანაწესის მიზნებია

ა) შრომითი ურთიერთობის წარმართვა ამ წესის მე-3 მუხლში მითითებული საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად;

ბ) კოლეჯი ,,ერქვანი“-სა და მის დასაქმებულებს შორის შრომითი და მისი თანმდევი ურთიერთობების რეგულირება;

გ) დაკისრებული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელებისათვის ხელის შეწყობა;

დ) დასაქმებულთა შრომითი უფლებების განხორციელების უზრუნველყოფა;

ე) დამსაქმებლის ფუნქციების სრულყოფილად განხორციელებისათვის ხელის შეწყობა;

ვ) შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა;

ზ) დასაქმებულთა შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დამკვიდრება;

თ) სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება;

ი) სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების ეფექტიანობის ზრდა;

კ) დასაქმებულთა კვალიფიკაციის დონისა და პროფესიული ჩვევების გამოვლენის ხელშეწყობა;

ლ) ხელმძღვანელსა და დასაქმებულთა შორის სამსახურებრივი ურთიერთობების მოწესრიგება;

მ) საგანმანათლებო პროცესში შრომისა და დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფას;

ნ) პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთათვის საქმიანობისას უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნას;

ო) პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვას;

პ) პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებულთა სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი დაცვა.

მუხლი 2. მოქმედების სფერო

1. სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი“-ს (შემდგომში – კოლეჯი ,,ერქვანი“) შრომის შინაგანაწესით (შემდგომში – შინაგანაწესი) განისაზღვრება კოლეჯი ,,ერქვანის“ (შემდგომში - დამსაქმებელი) და კოლეჯში დასაქმებულ პირებს შორის (შემდგომში - დასაქმებული) არსებულ შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის:

ა) შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, დასაქმებულის დანიშვნა, თანამდებობრივი გადაადგილება;

ბ) სტუდენთა და დასაქმებულთა ძირითადი უფლება-მოვალეობები;

გ) სამსახურებრივი მივლინება, სამუშაო დრო და დასვენების დრო;

დ) შვებულება;

ე) შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა;

ვ) დასაქმებულის შრომის ანაზღაურება, დამატებითი სარგებელი წახალისება;

ზ) სტუდენტთა და დასაქმებულთა დისციპლინური პასუხისმგებლობა;

თ) დავის განხილვა;

ი) დასკვნითი დებულებები.

2. შინაგანაწესით განისაზღვრება კოლეჯსა და დასაქმებულებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ძირითადი პრინციპები.

3. შინაგანაწესი წარმოადგენს სამუშაოზე მიღების ბრძანების ან/და შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და შესასრულებლად სავალდებულოა ყველა დასაქმებული სტრუქტურული ერთეულისა და პროფესიული სტუდენტებისთვის.

4. დასაქმებული სამუშაოს შესრულებისას, შრომის ხელშეკრულების პირობების დაცვის გარდა, ასევე, ვალდებულია სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას წინამდებარე შინაგანაწესი და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც მის სამსახურს და მოვალეობებს უკავშირდება.

5. თუ სპეციალური აქტით (ინსტრუქცია, სამუშაოს შესრულების სტანდარტი და სხვა) დადგენილია შინაგანაწესისაგან განსხვავებული მოწესრიგება, მას აქვს უპირატესობა შინაგანაწესით დადგენილ წესებთან მიმართებით.

6. შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში, დასაქმებულის მიმართ გამოიყენება საქართველოს შრომის კოდექსით, სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის“ წესდებით, ამ შინაგანაწესით და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

7. შინაგანაწესის მოქმედება თანაბრად ვრცელდება სსიპ კოლეჯში ,,ერქვანი“ დასაქმებულებზე მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

8. კოლეჯი ვალდებულია, სამსახურში მიღებისას დასაქმებულს გააცნოს შინაგანაწესი.

9. შინაგანაწესის გაცნობა შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერ დროს.

მუხლი 3. შრომითი ურთიერთობის პრინციპები

1. შრომითი ურთიერთობები ეფუძნება დამსაქმებლისა და დასაქმებულის თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, კეთილსინდისიერებისა და კოლეგიალობის პრინციპებს.

2. კოლეჯსა და და მის დასაქმებულებს შორის წარმოშობილ შრომით ურთიერთობაში, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.

3. გადაწყვეტილებების საჯაროობის, გამჭირვალეობისა და დაინტერესებული პირებისათვის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვა.

4. პროფესიულ სტუდენტთა მიმართ თანასწორი მოპყრობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა, ფიზიკური შესაძლებლობისა და სხვა.

5. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

6. პროფესიულ სტუდენტთა და პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნების გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

7. საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა დაწესებულების ავტონომიურობის პრინციპზე დაყრდნობით.

8. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებით არ შეიძლება დადგინდეს ამ პრინციპების შემზღუდავი ნორმები.

9. კოლეჯი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით. საქართველოს კანონებით ,,პროფესიული განათლების შესახებ'' და ''საჯარო სამართლის იურიდული პირის შესახებ'', სხვა ნორმატიული აქტებით და წესდებით.

10. კოლეჯი ,,ერქვანი“ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

11. კოლეჯს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო/სახაზინო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები. კოლეჯის მისამართებია: ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №10 და გურგენიძის ქ. N 10.

თავი II.

სამუშაო და დასვენების დრო

მუხლი 4. სამუშაო დრო

1. სამუშაო დრო წარმოადგენს კალენდარული დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი.
2. კოლეჯში დაწესებულია ხუთდღიანი სამუშაო კვირა, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. რიგ შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე შაბათი დღე, როგორც სასწავლო და სამუშაო დღე.
3. კოლეჯის დისციპლინური კომიტეტის, მიმღები კომისიის და საგანმანათლებლო პროგრამების შემმუშავებელი ჯგუფის სხდომებზე მონაწილეობის მიღება დამსაქმებლისთვის ითვლება სამუშაო დროდ.

მუხლი 5. კოლეჯის სამუშაო დღის რეჟიმი

1. კოლეჯის სამუშაო კვირა განისაზღვრება 5(ხუთი) დღიანი სამუშაო დროით, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.
2. რიგ შემთხვევებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს შაბათი როგორც სასწავლო დღე.
3. სამუშაო დღის ხანგრძლივობა ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალისათვის განისაზღვრება 9 (ცხრა) საათით, (შესვენების დროის ჩათვლით). 9 სთ და 00 წთ-დან 18 სთ და 00 წუთამდე.
4. საგაკვეთილო დრო შესვენებით, დღეში არაუმეტეს 7 (შვიდი) ასტრონომიული საათი.
5. გამოსასვლელი (დასვენების) დღეებია: შაბათი, კვირა და სადღესასწაულო დღეები.
6. გაკვეთილებს შორის შესვენების დრო სულ განისაზღვრება 90 წუთით.
7. გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 (ორმოცდახუთი) წუთით.
8. შესვენების დრო კოლეჯის ადმინისტრაციისათვის და დამხმარე პერსონალისათვის განისაზღვრება 1 (ერთი) საათით, 13 (ცამეტი) საათიდან 14 (თოთხმეტ) საათამდე.
9. სასწავლო პროცესი დაიწყება 10 (ათ) საათზე, ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება განისაზღვროს განსხვავებული რეჟიმიც.
10. მასწავლებლები კოლეჯში უნდა გამოცხადდნენ არა უგვიანეს 10 (ათი) წუთით ადრე სასწავლო პროცესის დაწყებამდე.
11. ადმინისტრაცია და დამხმარე პერსონალი კოლეჯში უნდა გამოცხადდესა 9 სთ და 00 წუთზე. (აუცილებლობის შემთხვევაში უფრო ადრეც).

12. სამუშაო დღის რეჟიმი შეიძლება შეიცვალოს კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით (სამუშაო დღის დაწყება დამთავრება).
13. მაგრამ არ უნდა დაირღვეს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული არაუმეტეს 40 საათიანი სამუშაო დრო.

მუხლი. 6 შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი

1. კოლეჯში შრომის ანაზღაურების გადახდა ხდება თვეში ერთხელ, საანგარიშო თვის ბოლო კვირაში.
2. შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, დასაქმებულის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 7. სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაოდან წასვლის წესები

დასაქმებული ვალდებულია დააფიქსიროს სამუშაოზე გამოცხადება და სამუშაო ადგილიდან გასვლა, დადგენილი წესით, კოლეჯში საამისოდ გამოყოფილ ადგილზე.

თავი III.

დასვენებისა და სადღესასწაულო დღეები, აგრეთვე ყოველდღიური სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ კოლეჯში ყოფნის პირობები და წესები

მუხლი 8. დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობის გამონაკლისი შემთხვევები.

არასამუშაო დროს სამუშაო ადგილზე ყოფნის პირობები:
1. ამ შინაგანაწესით დადგენილ დასვენებისა და საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებში, აგრეთვე სამუშაო დროის შემდგომ სამუშაო აგდილზე მუშაობა შესაძლებელია:
ა) კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში და დადგენილი თავისებურებების შესაბამისად, სათანადო კომპენსაციით ფულადი ან/და დასვენების დღის სახით.
ბ) საკუთარი ინიციატივით, იმ პირის სიტყვიერი თანხმობის საფუძველზე, რომლის წინაშეც დასაქმებული უშუალოდ არის პასუხისმგებელი.
2. არასამუშაო დროს საკუთარი ინიციატივით (უფლებამოსილი პირის დავალების გარეშე) სამუშაოს შესრულებისას დასაქმებულს კომპენსაცია არ მიეცემა. რაც არ გამორიცხავს ამ დასაქმებულის მიმართ წახალისების ზომების გამოყენებას.
3. დასაქმებულის ინიციატივით არასამუშაო დროს, სამუშაო ადგილზე გამოცხადება დასაქმებულის მიერ წინასწარ უნდა შეთანხმდეს კოლეჯის დირექტორთან.

მუხლი 9. სამსახურებრივ უფლებამოსილებათა განხორციელება არასამუშაო დროს

დასაქმებული, რომელიც ამ შინაგანაწესით დადგენილი პირობების დაცვით იმყოფება არასამუშაო დროს სამუშაო ადგილზე (დასვენების ან უქმე დღეებში, ან სამუშაო დროის შემდეგ) ახორციელებს მისთვის მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს, მათ შორის ვალდებულია:
ა) დაიცვას შრომის უსაფრთხოება;
ბ) გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას

თავი IV.

შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, დასაქმებულის დანიშვნა, თანამდებობრივი გადაადგილება

მუხლი 10. კოლეჯში თანამშრომელთა მიღების წესი:

1.კოლეჯში თანამშრომელთა მიღების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით „ პროფესიული განათლების შესახებ" და საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.

2. საქართველოს შრომის კოდექსით , საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N122/2019 წლის 19 ივნისი „კოლეჯის წესდების დამტკიცების შესახებ" განისაზღვრება კოლეჯის ადმინისტრაციის მმართველობით თანამდედბობებზე დანიშვნა.

3. პირის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შემთხვევაში ვადა მიეთითება დირექტორის სამართლებლივ ადმინისტრაციულ აქტში (ბრძანებაში), ასევე პირთან გაფორმებული შრომით ხელშეკრულებაში.

4. კოლეჯის გარკვეული თანამდებობების დასაკავებლად შეიძლება გამოყენებული იქნეს კონკურსის წესი.

5. გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოწმდება კომპენტური პირის მიერ პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან. არადამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში პირი შეიძლება განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან გამოსაცდელი ვადის განმავლობში დირექტორის ბრძანებით.

6. გამოსაცდელ ვადაში არ ითვლება დროებითი შრომისუუნარობის და სხვა საპატიო მიზეზის გამო გაცდენილი დრო. გამოსაცდელი ვადა ჩაითვლება შრომით სტაჟში. (სათანადო დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში).

7. პირის დაკავებული თანამდებობიდან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა / დანიშვნა ხდება მხოლოდ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

8. კოლეჯში დირექტორის ადმინისტრაციული აქტით (ბრძანებით) დანიშნულ პირებთან გაფორმდება ხელშეკრულება შესასრულებელი სამუშაოს და სამუშაო ვადის მითითებით ან ვადის გარეშე, ასევე ხელშეკრულებაში მიეთითება ანაზღაურების ოდენობა და სხვა.

9. კოლეჯი ვალდებულია მამრობითი სქესის 17 წელს მიღწეული პირი (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე არ მიიღოს სამსახურში.

მუხლი 11. შრომითი ურთიერთობის გაფორმებამდე კანდიდატი ვალდებულია კოლეჯში წარადგინოს დოკუმენტაცია:

1. წერილობითი განცხადება დასაკავებელი თანამდებობის მითითებით.
2. რეზიუმე - CV.
3. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქსეროასლი).
5. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.
6. დამატებით, წარმოსადგენი დოკუმენტაცია შეიძლება განისაზღვროს დირექტორის ბრძანებით.
7. მამრობითი სქესის 17 წელს მიღწეულმა პირებმა (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი.
8. ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ.
9. აღნიშნული დოკუმენტაციის წარუდგენლობა შეიძლება გახდეს პირის სამსახურში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 12 კოლეჯის მასწავლებლები და მათი კოლეჯში მიღების წესები და პირობები

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი - პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში;
2. პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
   ა) უმაღლესი განათლება / პროფესიული განათლება
   ბ) საშუალო/საბაზო/ განათლება და სამუშაო გამოცდილება, რაც დასტურდება სხვადასხვა გზებით.
   გ) პედაგოგიური გამოცდილება (სასურველია).
   დ) სწავლა-სწავლების პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარები;

3. შესაბამისი სტანდარტით ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი'' (ბრძანება N 97/ნ 2 ივნისი 2011 წ) დგინდება დამატებითი მოთხოვნები;
4. პროფესიული განათლების მასწავლებელი კოლეჯში მიიღება შრომითი ხელშეკრულებით, პროფესიული ჯგუფის სწავლების ხანგრძლივობის შესაბამისი დროით. პროფესიული ჯგუფის სასწავლო კურსის დამტავრებისთანავე თავისუფდება დაკავებული პოზიციიდან და უქმდება შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულება შეიძლება განუახლდეს, შესაბამისი სპეციალობით ახალი ჯგუფის მიღების შემთხვევაში.
5. პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულების ვადა დამოკიდებულია ფაქტობრივად ჩასატარებული საათების რაოდენობაზე და პროფესიული ჯგუფების სასწავლო პერიოდის ხანგრძლივობაზე;
6. მასწავლებლის ხელშეკრულების ვადა შეიძლება განისაზღვროს ერთ წელზე მეტი ხნით, თუ კოლეჯში არსებობს სასწავლო ჯგუფები, ისწავლება იგივე მოდულები, რომელსაც პირი ასწავლიდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ჯგუფებს და სასწავლო პერიოდი გრძელდება;

7. პროფესიული განათლების მასწავლებელს შრომის ანაზღაურება მიეცემა ფაქტიურად ჩატარებული საატების მიხედვით, თანხა ჩაერიცხება ბანკში მის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე ვიზა პლასტიკურ ბარათზე.

8. პროფესიული განათლების მასწავლებელთან, სასწვლო პროგრამის დამატების პერიოდში შეიძლება გაფორმდეს წინარე ხელშეკრულება, რომელიც პროგრამის დამატების და ჯგუფის მიღების შემთხვევაში დასრულდება შრომითი ხელშეკრულებით, პირის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე რითაც დასტურდება თანხმობა შემდგომი თანამშრომლობის შესახებ.

9. შრომით ხელშეკრულებაში შეიძლება განისაზღვროს შრომითი ურთიერთობების მხარეთა, კოლეჯი (დამასქმებელი) და მასწავლებელი (დასაქმებული) სხვა უფლება- მოვალეობანი, რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 13: საშტატო ერთეულებზე მომუშავე პირების პედაგოგიური საქმიანობის განაკვეთი

პედაგოგიური საქმიანობისთვის გამოყენებული დრო არ უნდა აღემატებოდეს მათი ძირითადი საქმიანობის სამუშაო დროის 25%, ხოლო პედაგოგიური საქმიანობისათვის კვირეული საათობრივი დატვირთვა, კვირაში არაუმეტეს 10 საათს.

თავი V.

პროფესიული სტუდენტი და მისი უფლება-მოვალეობები

მუხლი 14. პროფესიული სტუდენტი

1. კოლეჯში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე შინაგანაწესით.
2. კოლეჯში პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა, სტატუსის მოპოვება, სტატუსის შეწყვეტა, მობილობის განხორციელება და სხვა პროცედურები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
3. კოლეჯში არსებობს სტუდენტთა თვითმმართველობა, რომელსაც უფლება აქვს ისარგებლოს კოლეჯის მატერიალური რესურსით და კოლეჯის სივრცე გამოიყენოს თავისი საქმიანობის განსახორციელებლად დადგენილი წესის შესაბამისად.
4. სთუდენტთა თვითმმართველობა საქმიანობას ანხორციელებს კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 11 მარტის N 23 „ო" ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტური თვითმმართველობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულება „ერქვანში" სახელმძღვანელო"-ს შესაბამისად.

მუხლი 15. პროფესიულ სტუდენტთა უფლებები

1. სურვილის შემთხვევაში უფლება აქვს შექმნას სტუდენტური თვითმმართველობა;
2. კოლეჯის ადმინისტრაციას წარუდგინოს ისეთი ინიციატივა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, კოლეჯში არსებულ წესებს და რომელიც მიმართული იქნება დამატებითი არაფორმალური აქტივობების განხორციელებისკენ ;

3. მიიღოს ხარისხიანი განათლება კოლეჯის წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული წესით.;
4. მოითხოვოს სასწავლო პროცესში მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულება;
5. მიიღოს ინფორმაცია საკუთარი აკადემიური მოსწრების, სხვადასხვა აკადემიური თუ შემოქმედებითი კონკურსის პირობების შესახებ;
6. განათლების მიღების მიზნით, ისარგებლოს კოლეჯის უძრავ–მოძრავი ქონებით, კოლეჯის წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული ფორმით;
7. ისარგებლოს კოლეჯის სამედიცინო მომსახურეობით, სარიაბილიტაციო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი საშუალებებით;
8. საწარმოო სწავლებისა და საწარმოო პრაქტიკის დროს, საწარმოდან მიიღოს შრომის ანაზღაურება დადგენილი წესით (შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული).
9. უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის დაცვისა და უსაფრთხოების პირობებით.
10. შეიჩეროს სტატუსი ნებისმიერ დროს, 5 წლის ვადით;
11. შეიწყვიტოს სტატუსი ნებისმიერ დროს პირადი განცხადებით;
12. პროფესიულ სტუდენტს აქვს მობილობის უფლება (იხ. ,,სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“);
13. პროფესიული კოლეჯის სტუდენტს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს ,,პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონით, დადგენილი წესით;
14. ისარგებლოს კოლეჯში არსებული სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებით (აკადემიური მიღწევების, გარემოსთან ადაპტაცია, სოციალური მხარდაჭერის, ადმინისტრაციული და დამატებითი არაფორმალური სერვისები).

მუხლი 16. პროფესიული სტუდენტის მოვალეობები.

1. დაიცვას კოლეჯის შინაგანაწესი, შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და სხვა რეგულაციები, რომელიც ეხება სტუდენტს და არ ეწინააღმდეგენა მოქმედ კანონმდებლობას;
2. პატივისცემით მოექცეს სასწავლო პროცესის სხვა მონაწილეებს;
3. გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებასა და პირად სასწავლო ნივთებს, დაიცვას უსაფრთხოების წესები;
4. შეასრულოს სასწავლო პროცესის მონაწილეთა მოთხოვნები, თუ ისინი მოქმედ კანონმდებლობას, წესდებას და შინაგანაწესს არ ეწინააღმდეგება და გათვალისწინებულია ამ სამართლებრივი ბაზით;
5. დროულად გამოცხადდეს სასწავლო პროცესზე, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის პერიოდში პრაქტიკის ობიექტზე, მოისმინოს და გაითვალისწინოს მასწავლებლის/ინსტრუქტორის პროფესიული რჩევები და ახსნა-განმარტებები;
6. კოლეჯზე სტუდენტის მიერ განზრახ მატერიალური ზარალის მიყენების შემთხვევაში, სტუდენტი ანაზღაურებს მატერიალურ ზარალს;
7. შეასრულოს საწავლო პროცესით გათვალისწინებული დავალებები და დაიცვან კოლეგიალობის პრინციპი.
8. შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიოს თანაჯგუფელებს სასწავლო და საწარმოო დავალების გადაწყვეტაში.

თავი VI.

მასწავლებლის უფლება მოვალეობები

მუხლი 17. მასწავლებელს უფლება აქვს

1. მასწავლებელი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით და კოლეჯის წესდების შესაბამისად, მონაწილეობა მიიღოს კოლეჯის მართვაში არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით, მოითხოვოს და მიიღოს კოლეჯში არსებული საჯარო ინფორმაცია.
2. მასწავლებელი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს მასთან დაკავშირებულ საკითხზე გამართულ ადმინისტრაციულ წარმოებაში, პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით და თავისი უფლებების დასაცავად გაასაჩივროს კოლეჯის გადაწყვეტილებები და ქმედებები.
3. მოითხოვოს საწავლო პროცესში მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულება;
4. ისარგებლოს კოლეჯის უძრავ-მოძრავი ქონებით საკუთარი პროფესიული მოვალეობის აღსასრულებლად, შინაგანაწესით და კოლეჯის სხვა რეგულაციებით განსაზრვრული ფორმით;
5. მიიღოს ინფორმაცია კოლეჯის ფუნქციონირების ნებისმიერ საკითხზე;
6. მიიღოს კუთვნილი შრომის ანაზღაურება ფაქტიურად ჩატარებული საათების შესაბამისად ყოველთვიურად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7. მიიღოს მონაწილეობა კოლეჯში განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში და მიიღოს ანაზრაურება ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი18. მასწავლებელი ვალდებულია

1. შეასრულოს კოლეჯის წესდებით, შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით განასზღვრული მოთხოვნები.
2. დაიცვას კოლეგიალური და პედაგოგიური ეთიკის ნორმები, იზრუნოს კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
3. გაიაროს პერიოდული ატესტაცია განათლების მართვის ორგანოთა მიერ განსაზღვრული ფორმით და განსაზღვრულ ვადაში;
4. შეასრულოს განათლების სისტემის მართვის ორგანოებისა და კოლეჯის დირექციის ბრძანებები, განკარგულებები, სხვა მოთხოვნები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, კოლეჯის წესდებას, შინაგანაწეს და შრომით ხელშეკრულებას;
5. გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას, დაიცვას უსაფრთხოების წესები. გამოცხადდეს კოლეჯში სასწავლო პროცესის დაწყებამდე 10 წუთით ადრე.
6. დროულად აცნობოს კოლეჯის დირექციას პროფესიულ სტუდენტთა ნებისმიერი სასწავლო თუ აკადემიური პრობლემის შესახებ;
7. ფლობდეს სისტემატიურ ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტთა კოლეჯში სასწავლო პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზებზე;
8. აცნობოს კოლეჯის დირექციას, საკონტაქტო საათების ან მოდულის სწავლის შედეგის 10%-ის პროფესიული სტუდენტის მიერ გაცდენის შესახებ;

9. აწარმოოს, გაკვეთილზე პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური დასწრების აღრიცხვა დადგენილი ფორმით;
10. საჭიროების შემთხვევაში გაუწიოს შუამდგომლობა პროფესიულ სტუდენტებს კოლეჯის დირექციასთან, გაკვეთილიდან განთავისუფლების დროს;
11. სასწავლო და საწარმო პრაქტიკის პერიოდში უხელმძღვანელოს, პრაქტიკის გეგმის მიხედვით შესრულებას და აკონტროლოს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე გამოცხადება;
12. სასწავლო პრაქტიკის დროს ჩამოუყალიბოს პროფესიულ სტუდენტებს სპეციალობის შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობისთვის საჭირო უნარ- ჩვევები;
13. პროფესიულ სტუდენტებთან ითანამშრომლოს კოლეგიალობის პრინციპით, სასწავლო და საწარმო ამოცანების გადაწყვეტაში;
14. რაციონალურად გამოიყენოს პროფესიული ჯგუფების სწავლებისთვის გამოყოფილი სასწავლო მასალები და აწარმოოს მასალების ხარჯვის აღრიცხვა;
15. სასწავლო პერიოდის დასასრულს ანგარიში ჩააბაროს, სწავლების შედეგებზე და სასწავლო მასალების ხარჯვაზე, საწავლო პროცესისა და საწარმოო-პრაქტიკის მენეჯერს დადგენილი ფორმის შესაბამისად.

თავიVII.

მშობელთა/მეურვეთა უფლება-მოვალეობები

მუხლი 19. მშობელთა/მეურვეთა უფლებები

1. მოითხოვოს სასწავლო პროცესში მონაწილეთაგან მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება;
2. მიიღოს ინფორმაცია კოლეჯის ფუნქციონერების ნებისმიერ საკითხზე;
3. მიიღოს ინფორმაცია მისი შვილის/მეურვეობის ქვეშ მყოფის, აკადემიური მოსწრების შესახაებ;
4. მოითხოვოს ნებისმიერი საკითხის განხილვა, რომელიც ეხება მის შვილს/მეურვეობის ქვეშ მყოფ პირს, თუ ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მას შეუძლია დაესწროს საკითხის განხილვას;
5. უფლებაბამოსილია დაეხმაროს კოლეჯს სწავლების საშუალებებით აღჭურვაში, სურვილის შესაბამისად ტერიტორიის დასუფთავება-გალამაზებაში.

მუხლი 20. მშობელთა/მეურვეთა ვალდებულება.

1. უზრუნველყოს, შვილისათვის/მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის, სწავლისა და აღზრდის ნორმალური პირობების შექმნა;
2. შეასრულოს კოლეჯის შინაგანაწესით და ადმინისტრაციასთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები;
3. ადმინისტრაციის მოთხოვნისთანავე გამოცხადდეს კოლეჯში, როდესაც საქმე ეხება მისი შვილის/მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის საკითხს;
4. კოლეჯის ადმინისტრაციასთან და მასწავლებელთან ურთიერთობისას დაიცვას ეთიკის ნორმები;
5. აანაზღაუროს კოლეჯისადმი მისი შვილის/მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი.

თავი VIII.

დასაქმებულისა და პროფესიული სტუდენტის წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა

მუხლი 21. დასაქმებულის წახალისების წესი

1. კოლეჯის დირექტორი ბრძანებით იღებს გადაწყვეტილებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასაქმებულის წახალისების შესახებ:

ა) კონკრეტული დამსახურებისათვის, რომელიც აღემატება დასაქმებულის ჩვეულ სამსახურებრივ მოვალეობებს და დაკავშირებულია ზედმეტ ძალისხმევასთან;

ბ) კონკრეტული დამსახურებისათვის, რომელიც შედის დასაქმებულის სამსახურეობრივ მოვალეობებში, მაგრამ შესრულებულია სანიმუშოდ;

გ) განსაკუთრებული სირთულის მქონე დავალების წარმატებით შესრულებისათვის;

დ) ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი შრომისათვის;

ე)კოლეჯის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის;

ვ) სადღესასწაულო წახალისება მოტივაციის გაზრდის მიზნით.

2. დასაქმებულის წახალისების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს დირექტორს საკუთარი შეხედულების შესაბამისად ან დასაქმებულის უშუალო უფროსის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე;

3. ამ მუხლის 1 -ლი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში დასაქმებულის მიმართ წახალისების ფორმად შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება;

გ) ფულადი პრემია;

დასაქმებულის წასახალისებლად შესაძლებელია ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

მუხლი 22. პროფესიული სტუდენტის წახალისების წესი

1. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით იღებს გადაწყვეტილებას წარჩინებული, სანიმუშო სტუდენტების წახალისების შესახებ, ამ მიზნით შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე. წახალისების ფორმით შეიძლება გამოყენებულ იქნას:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი ნამუშევრით დასაჩუქრება;

გ) უფასო ექსკურსიის ორგანიზება;

დ) დასაქმება.

თავი IX.

სასწავლო პროცესის მონაწილეებს შინაგანაწესის დარღვევისათვის დაეკისრებათ დისციპლინარული სახდელი

მუხლი 23. პროფესიული სტუდენტის დიციპლინარული სახდელებია:

ა) სიტყვიერი/წერილობითი საყვედური;

ბ) წერილობითი გაფრთხილება;
გ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
დ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

მუხლი 24. პროფესიულ სტუდენტს საყვედური შეიძლება გამოეცხადოს:

1. სასწავლო დღის განმავლობაში დისციპლინალური გადაცდომისათვის;
2. უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის;
3. კოლეჯის ქონების გაუფრთხილებლობით დაზიანებისათვის;
4. სასწავლო პროცესის ერთი საკონტაქტო საათის უმიზეზოდ გაცდენისათვის;
5. სასწავლო პროცესში მონაწილეთა სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის.

მუხლი 25. პროფესიულ სტუდენტს წერილობითი გაფრთხილება შეძლება გამოეცხადოს:

1. შინაგანაწესით აკრძალული ქმედებისათვის;
2. უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის;
3. სტუდენტთა და კოლეჯის თანამშრომელთა სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის;
4. სასწავლო პროცესის საკონტაქტო საათების ან სწავლის შედეგების 10%-ის უმიზეზო გაცდენისათვის.

მუხლი 26. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხორციელდება ამ მუხლისა და კოლეჯის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე;

2. პროფესიული სტუდენტის განცხადებით დადასტურებული სურვილით, სწავლის გაგრძელების შეუძლებლობის მოტივით;

3. სტუდენტის ან მასწავლებლის არსებითი შეურაცხყოფისათვის, თუ შეუძლებელია მათი შემდგომი ურთიერთობა, საფრთხე ექმნება ამ პირების უსაფრთხოებას და საწავლო პროცესის მიმდინარეობას, კოლეჯის დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე;

4. კოლეჯისადმი, განზრახ, მცირე მატერიალური ზარალის მიყენებისათვის, თუ სტუდენტს დაკისრებული აქვს ზარალის ანაზღაურება და დადგენილ ვადაში არ აანაზღაურა, სტატუსი შეუჩერდება ზარალის ანაზრაურებამდე არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით;
5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე;
6. დისციპლინარული სახდელის დაკისრების შესახებ, დისციპლინარული კომიტეტის (რომელიც იქმნება დირექტორის ბრძანებითსაჭიროების წარმოქმნის შემთხვევაში) მიერ დგება ოქმი, რომელიც წარედგინება დირექტორს სახდელის დაკისრების მოთხოვნით.

მუხლი 27. სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიულ სტუდენტის/მსმენელს სტატუსის შეწყვეტა ხორციელდება ამ მუხლისა და კოლეჯის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე;
2. ამ წესის მე-10 თავით ,,კოლეჯში სწავლება, დასვენება და ქცევის წესები“ -ს არაერთგზის დარღვევის გამო, რაზედაც პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უკვე ჰქონდა მიღებული სიტყვიერი და წერილობითი გაფრთხილება;
3. სტუდენტს/მსმენელს ან მასწავლებელს მიაყენებს მძიმე შეურაცხყოფა;

4. კოლეჯს მიაყენებს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს;
5. გამტყუნდება სასამართლოს გადაწყვეტილებით და შეეფარდება პატიმრობა;
6. ფასიანი სწავლების შემთხვევაში, დადგენილ დროში არ გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სწავლის გადასახადს.

მუხლი 28. კოლეჯის პერსონალის (მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების) შესაძლო დისციპლინარული სახდელებია

ა) გაფრთხილება;
ბ) საყვედური;
გ) სასტიკი საყვედური;
დ) ხელფასის დაკავება გაცდენილი დროის შესაბამისი;
ე) სასჯელის განსაკუთრებული ფორმა სამუშაოდან განთავისუფლება.

მუხლი 29. გაფრთხილება.

1. პირის მიერ შინაგანაწესით აკრძალული ქმედებისათვის;
2. პირის მიერ ორზე მეტი დაგვიანებისათვის, მასწავლებლის მიერ არასაპატიო მიზეზეით ერთი გაკვეთილის გაცდენისთვის;
3. პედაგოგიური და კოლეგიალური ეთიკის ნორმების დარღვევისთვის;
4. კოლეჯის ადმინისტრაციული დავალების შეუსრულებლობისთვის.
5. უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის.

მუხლი 30. საყვედური

1. თუ დისციპლინალური სახდელის დაკისრებისას პირს მიღებული აქვს გაფრთხილება ან მის გარეშე;
2. შინაგანაწესით და კოლეჯის წესდებით აკრძალული ქმედებისათვის;
3. პირის მიერ ხუთზე მეტი დაგვიანებისათვის, მასწავლებლის მიერ, ერთზე მეტი გაკვეთილის არასაპატიო მიზეზით გაცდენისათვის;
4. პედაგოგიური ეთიკის ნორმების დარღვევისათვის;
5. სტუდენტის ან კოლეგის შეურაცხყოფისათვის;
6. კოლეჯზე მცირე მატერიალური ზარალის მიყენებისათვის;
7. უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევისათვის;
8. დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებისათვის;
9. სამსახურებრივი მოვალეობიდან გადაცდომისთვის;
10. სამსახურში არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადებისთვის.

მუხლი 31. სასტიკი საყვედური

1. თუ დისციპლინარული სახდელის დაკისრებისათვის პირს მიღებული აქვს საყვედური.
2. პირის მიერ სისტემატიური დაგვიანებისათვის, მასწავლებელის მიერ, ხუთი ან ხუთზე მეტი გაკვეთილის არასაპატიო მიზეზით გაცდენისათვის;
3. სტუდენტის ან კოლეგის უხეში შეურაცხყოფისათვის.
4. შინაგანაწესით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის.
5. კოლეჯისადმი მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის გულგრილობით ან გაუფრთხილებლობით, მიყენებისათვის, .
6. სასწავლო პროცესის (გაკვეთილის) ჩაშლისათვის.
7. სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობისათვის.

მუხლი 32. ჯარიმა

1. მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე დაგვიანებისთვის 15 წთ და მეტი ხნით, დაუკავდება ხელფასი გაცდენილი დროის შესაბამისად, საათობრივი ანაზღაურების გათვალისწინებით;

2. .კოლეჯის ადმინისტრაციულ/ ტექნიკურ და დამხმარე პერსონალს, სამსახურში უმიზეზოდ 1 დღით გამოუცხადებლობის და ან დაგვიანებისთვის 20 წთ და მეტი ხნით, დაუკავდება ერთი დღის ხელფასი;

3. მასწავლებელს, კოლეჯის სხვა პერსონალს, დისციპლინალურ სახდელს აკისრებს კოლეჯის დირექტორი. სახდელი შეიძლება გასაჩივრდეს კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოში, საჭიროების შემთხვევაში სასამართლოში;

4. მასწავლებელს, კოლეჯის სხვა პერსონალს დისციპლინარული სახდელი შეიძლება მოეხსნას კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით, სახდელის დაკისრებიდან 3 (თვის) ვადაში.

მუხლი 33. მასწავლებელს/კოლეჯის სხვა პერსონალს შეიძლება დაეკისროს სასჯელი. სამსახურიდან განთავისუფლება

1. სასტიკი საყვედურის მიღების შემდეგ, ისეთი ქმედების ჩადენისათვის, რაც იმსახურებს დისციპლინარულ სახდელს;
2. პედაგოგიური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევისათვის, რაზეც პირს უკვე დაკისრებული ჰქონდა დისციპლინარული სახდელი სასტიკი საყვედურის სახით;
3. სისტემატიური დაგვიანებისა და გაცდენისათვის;
4. კოლეჯისადმი განზრახ მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის მიყენებისათვის;
5. გაკვეთილის სისტემატიური ჩაშლისათვის;
6. უსაფრთხოების წესების ისეთი დარღვევისათვის, რაც სტუდენტის/თანამშრომლების ან კოლეჯის ქონების არსებითი დაზიანების შედეგი გახდა;
7. დასაქმებულის მიერ საგამოცდო ვადაში ან მის გარეშე, დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ვერ შესრულების, არაჯეროვნად ან არაკეთილსინდისიერად შერულებისთვის, რაც აფერხებს კოლეჯის მიზნებისა და ამოცანების შესრულებას, გარდა იმ შემთხვევისა თუ პირს აქვს გამამართლებელი გარემოება (ავადმყოფობა, ოჯახური პრობლემა ან სხვა) რაც დასტურდება სხვადასხვა ფორმით.
8. კოლეჯის დირექციის დისციპლინარული სახდელის ფორმები და მათი გამოყენების პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით;
9. მშობლის მიერ ამ შინაგანაწესით და კოლეჯის ადმინისტრაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის კოლეჯი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 34. სასწავლო პროცესის მონაწილეებად ითვლებიან:

ა) პროფესიული სტუდენტი,

ბ) მშობელი,

გ) მასწავლებელი,

დ) დირექცია.

თავი X

კოლეჯში შრომა, სწავლება, დასვენება და ქცევის წესები.

მუხლი 35. დასვენების დრო

1. დასქმებულს უფლება აქვს სამუშაო დღის განმავლობაში ისარგებლოს შესვენებით;
2. დასაქმებულს კვებისა და დასვენებისთვის, ეძლევა შესვენება სამუშაო დღის 13:00 საათიდან 14:00 საათამდე;
3. შესვენება არ შედის სამუშაო დროში და დასაქმებული მას იყენებს თავისი სურვილის შესაბამისად. დროის ამ შუალედში მას ეძლევა სამუშაოს შესრულების ადგილიდან (კოლეჯის ტერიტორიიდან ან ნებისმიერი სხვა ადგილიდან, სადაც იგი ვალდებულია შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობანი) წასვლის უფლება;
4. თუ შესვენების დრო ემთხვევა დასაქმებულის მიერ შრომის ხელშეკრულებით განსაზღვრულ დღის 13:00 _ 14:00 სთ. მონაკვეთში შესასრულებელ ვალდებულებას, დასაქმებული უფლებამოსილია უშუალო უფროსთან შეთანხმებით ისარგებლოს შესვენებით ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შესვენების დროსგან განსხვავებულ დროს;
5. პროფესიულ კოლეჯში სწავლის დაწყება, ხანგრძლივობა და დასვენება განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად კოლეჯის დირექციის გადაწყვეტილებით;
6. სასწავლო დღის რეჟიმს განსაზღვრავს კოლეჯის დირექცია.

მუხლი 36. კოლეჯის შენობაში დაუშვებელია:

1.სიგარეტის მოწევა, კოლეჯის შენობაში და ეზოში;
2.ნარკოტიკების, ტოქსიკური ნივთიერებების, ალკოჰოლის და იარაღის შემოტანა მოხმარება;
3. საკვების მიღება შესაძლებელია მხოლოს კვების ობიექტში შესვანების დროს;
4. მობილური ტელეფონით სარგებლობა სასწავლო პროცესის დროს (გაკვეთილზე)
5. არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება;
6. ხმამაღალი საუბარი ან ისეთი ხმაურის გამოწვევა, რომელიც ხელს შეუშლის სასაწავლო პროცესის მიმდინარეობას;
7. პროფესიულ სტუდენტებს სასაწავლო პროცესის დროს ეკრძალებათ უნებართვოდ კოლეჯის ტერიტორიის დატოვება. ტერიტორიიდან გასვლა და სასწავლო პროცესის დატოვება, ნებადართულია მასწავლებლის სიტყვიერი თანხმობით ან დადგენილი წესით წერილობითი განცხადების საფუძველზე განთავისუფლების შესახებ.

მუხლი 37. სამსახურში არყოფნის შეტყობინების წესი

1. დასაქმებულის სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუ მიზეზი წარმოიშვა მოულოდნელად წინასწარ განზრახვის გარეშე, აცნობონ ამის შესახებ კოლეჯის დირექციას რაიმე ფორმით. შესაძლებელია სატელეფონო შეტყობინებით.

2. დასაქმებულს ოჯახური პირობების გამო წინასწარ განზრახული აქვს, ერთი დღით ან მეტით სამსახურში გამოუცხადებლობა, დირექციას აცნობოს წერილობითი განცხადების სახით, წინა დღით, თანხმობის მიღების შემთხვევაში, გაცდენილი დრო ჩაეთვლება საპატიო მიზეზში ან ანაზღაურდება ფასინი შვებულებიდან.
3. დასაქმებული განცხადების საფუძველზე დროებით განთავისუფლების შემთხვევაში

ვალდებულია მოაწესრიგოს საქმიანობა ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს სასწავლო პროცესის ჩაშლა ან კოლეჯის დაგეგმილი საქმიანობის შეუსრულებლობა.

4. დასაქმებულს შეუძლია მოძებნოს შემცვლელი ან გადაანაცვლოს გაკვეთილები დირექტორის, დირექტორის მოადგილის ან სასწავლო პროცესისა და სასწ-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან შეთანხმებით, რომ ამან არ გამოიწვიოს გაკვეთილების გაცდენა და სასწავლო პროცესის ჩაშლა.
5. დასაქმებულის განთავისუფლების უფლება განცხადების საფუძველზე აქვს კოლეჯის დირექტორს.

მუხლი 38. სამსახურებრივ საკითხებზე განკარგულებათა მოსამსახურეებამდე დაყვანის წესი

1. სასწავლო პროცესის ორგანიზებული წარმართვისათვის და კოლეჯის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, კოლეჯის შინაგანაწესი თითოეული თანამშრომელისათვის წარმოადგენს სავალდებულოდ შესასრულებელ სამართლებლივ აქტს, რომელსაც საფუძვლად უდევს კოლეჯის წესდება, საქ. კანონები „პროფესიული განათლების შესახებ''; „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ'' და საქრთველის „შრომის კოდექსი'' სხვა კანონმდებლობა.

2. სამსახურებრივ საკითხებზე ნებისმიერი განკარგულება ინფორმაცია თუ ცალკეული დებულება, რომელიც წარმოადგენს საჯაროს უნდა გაეცნოს კოლეჯის თითოეულ თანამშრომელს და უნდა იყოს მათთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია;
3 . თითოეულ თანამშრომლის თუ პროფესიული სტუდენტის სამუშაოს შინაგანაწესით განმსაზღვრელი პუნქტები, გამოეკრას შესაბამისად სამასწავლებლოში, ჯგუფებში და განცხადებების დაფაზე;
4. განკარგულებები, რომლებიც ატარებენ ინდივიდუალურ ხასიათს, გაეცნოს პირადად ადრესატს და აუცილებლობის შემთხვევაში დადასტურდეს მათი ხელმოწერით;
5. განკარგულებების და ინფორმაციის მისაწოდებლად გამოყენებული იქნება იერარქიული სტრუქტურის პრინციპი.

მუხლი 39. შვებულების მიცემის წესი

1. .კოლეჯის თანამშრომლებზე შვებულების მიცემის წესი განისაზღვრება „ საქართველოს შრომის კოდექსი “ თავი VI. (შვებულების ხანგრძლივობა) მუხლი 31; (შვებულების მიცემის წესი) მუხლი 32; (ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დამსაქმებლის წინასწარ გაფრთხილების ვალდებულება) მუხლი 33 და ამავე თავის სხვა მუხლების შესაბამისად. დასაქმებულის შვებულებაში წასვლის უფლება წარმოიშობა მუშაობის დაწყებიდან 11 (თერთმეტი) თვის შემდეგ. კოლეჯის დირექტორთან შეთანხმებით, დასაქმებულს შვებულება შეიძლება მიეცეს ამ ვადის გასვლამდეც;
2. მასწავლებელს და კოლეჯის სხვა თანამშრომლებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება მიეცეს ანაზღაურებადი შვებულება წელიწადში 24 ოცდაოთხი სამუშაო დღეზე მეტი ვადით;
3. მასწავლებელს და კოლეჯის სხვა თანამშრომლებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება არანაკლებ წელიწადში 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა;

4. კოლეჯის თანამშრომლებისგან შვებულების მოთხოვნის ერთდროული წარმოშობის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი ადგენს შვებულების მიცემის რიგითობის გრაფიკს, რომ არ მოხდეს კოლეჯის საქმიანობის ჩაშლა;
5. მასწავლებელს და კოლეჯის სხვა თანამშრომლებს შვებულება მიეცემათ მათი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს „შრომის კოდექსით“ და კოლეჯის შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნის წარმოშობისთანავე. მუშაობის 11 (თერთმეტი) თვის გათვალისწინებით.

მუხლი 40. ანაზღაურებადი შვებულების გადატანის შემთხვევები

1. თუ დასაქმებულისათვის მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე, შვებულება შეიძლება გადატანილ იქნას მომდევნო სამუშაო წელს.
2. შვებულების გადატანის საკითხის დაყენების უფლება აქვს დასაქმებულს ან/და უშუალო უფროსს, რის თაობაზეც პირი დასაბუთებული წინადადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.
3. აკრძალულია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობაში

მუხლი 41. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება;

1. დასაქმებული უფლებამოსილია განაცხადოს თანხმობა, რომ დამსაქმებელმა დაამუშაოს (შეაგროვოს, ჩაიწეროს, დააკოპიროს, დაახარისხოს, შეინახოს, შეცვალოს, აღადგინოს, დაიხმაროს, გამოიყენოს და ა.შ.) ნებისმიერი საშუალებით (მათ შორის ფაილური სისტემის გამოყენებით) დასაქმებულის პერსონალური მონაცემები, რომლის გამოყენების მიზანი არის მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობის ეფექტიანი რეგულირება (კვალიფიციური კადრების შერჩევა, შრომითი ხელშეკრულების დადება, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, მხარეთა უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა, თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა;
2. კანონმდებლობის შესაბამისად, დასაქმებული უფლებამოსილია: ა) მოითხოვოს ინფორმაცია მისი პირადი მონაცემების შესახებ; ბ) მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების განადგურება; გ) ისარგებლოს ყველა სხვა უფლებით, რაც მას მინიჭებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით პერსონალური ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებით;
3. იმ პერსონალური მონაცემების ცვლილების შემთხვევაში აცნობოს დამსაქმებელს, რაც დასაქმებულმა დამსაქმებელს გაუზიარა შრომითი ურთიერთობის დაწყებისას;
4. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დამსაქმებელი დასაქმებულის პერსონალურ მონაცემებს დაამუშავებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

   ა) მონაცემების კონკრეტული ვადით შენახვის ვალდებულება დადგენილია კანონმდებლობით; მონაცემები საჭიროა შრომითი ურთიერთობის არსებობის ფაქტის დასადგენად; ბ) მონაცემები საჭიროა დამსაქმებელი იურიდიული პირის მიერ საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესასრულებლად;

   გ) მონაცემები საჭიროა პროფესიული განათლების კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის მიზნით;

   დ) მონაცემები საჭიროა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მონიტორინგის მიზნებისათვის;

5. 5. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პერსონალური მონაცემების დამუშავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 წელს.

მუხლი 42. კონფიდენციალურობა;

1. შრომითი ურთიერთობის პერიოდში და შემდეგაც, დასაქმებულს არ აქვს უფლება, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ცალკე ან სხვა პირებთან ერთად, გაუმჟღავნოს ნებისმიერ მესამე პირს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა ან/და დამსაქმებლის წერილობითი თანხმობისა, ჩამოთვლილთაგან არც ერთი ტიპის ინფორმაცია:

- წერილობითი;
- ზეპირსიტყვიერი;
- ელექტრონული;
- მატერიალური ან ნებისმიერი სხვა ფორმით არსებული;
- დასაქმებულისათვის გადაცემული ან მისთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი ინფორმაცია, დოკუმენტაცია ან/და აქტივი;

2. დასაქმებულის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პროცესში ან მასთან დაკავშირებით შექმნილი ან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, წარმოადგენს დამსაქმებლის განსაკუთრებულ საკუთრებას.

3. დასაქმებული ვალდებულია მიიღოს აუცილებელი ზომები კონფიდენციალური ინფორმაციის არასანქცირებული გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად.

4. დასაქმებულს უფლება არა აქვს გამოიტანოს დამსაქმებლის ოფისიდან კონფიდენციალური ინფორმაციის მატარებელი რაიმე ქონება, გარდა იმ შემთხვევისა, იმ მოცულობითა და იმ ხანგრძლივობით, რაც დასაქმებულს სჭირდება მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესასრულებლად და იმის გათვალისწინებით, რომ მას აქვს ასეთი მოქმედების განხორციელების უფლება ხელშეკრულების ან/და დამსაქმებლის თანხმობის საფუძველზე.

5. დამსაქმებლის მოთხოვნის შემთხვევაში და მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, ასეთი შეწყვეტისთანავე ავტომატურად (დამსაქმებლის მოთხოვნის საჭიროების გარეშე), უზრუნველყოს მის პირად ბაზებში არსებული კონფიდენციალური ინფორმაციის ყველა ასლის (როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური ფორმით არსებული) განადგურება ან/და დამსაქმებლისათვის უკან დაბრუნება.

6. მიუხედავად კონფიდენციალური ინფორმაციის ყველა ასლის განადგურებისა თუ დამსაქმებლისათვის უკან დაბრუნებისა, დასაქმებულის მიმართ ძალაშია კონფიდენციალური ინფორმაციის საიდუმლოდ დაცვისა და გაუმჟღავნებლობის ვალდებულება.

მუხლი 43. კვალიფიკაციის ამაღლებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება

1. დასაქმებულის მიერ ცალმხრივად, საკუთარი ინიციატივით, ან დასაქმებულის ბრალით გამოწვეული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია დამსაქმებელს აუნაზღაუროს კვალიფიკაციის ამაღლებაზე გაწეული ხარჯები, თუ ხარჯები გაღებულია ხელშეკრულების შეწყვეტამდე 12 თვის განმავლობაში.

2. კვალიფიკაციის ამაღლებად ჩაითვლება პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებები, რომელიც მიმართულია მონაწილეების ცოდნის ამაღლებისკენ ან/და უნარ-ჩვევების შეძენისა და დახვეწისკენ.

მუხლი 44. ნარკოლოგიური შემოწმების გავლა;

1. დამსაქმებელს უფლება აქვს, სამუშაო საათებში, ნებისმიერ დროს, მოსთხოვოს დასაქმებულს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში მისვლა და სამედიცინო შემოწმება, იმყოფება თუ არა დასაქმებული ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ. აღნიშნული შემოწმების ხარჯებს გაიღებს დამსაქმებელი.
2. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ დასაქმებული იმყოფება ნარკოტიკული ან ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ, აღნიშნული ჩაითვლება დასაქმებულის მიერ შრომით ურთიერთობაში ნაკისრი ვალდებულებების უხეშ დარღვევად, რაც შესაძლოა გახდეს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

მუხლი 45. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

1. წინამდებარე შინაგანაწესის შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
2. მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, შეთახმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი XI .

შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქცია

მუხლი 46. დასაქმებულთა ვალდებულებები შრომის დაცვის უზრუნველსაყოფად

1. დასაქმებულები ვალდებულნი არიან, დაიცვან კოლეჯის საკუთრებასა, თუ მფლობელობაში არსებული დაზგა-დანადგარებით და მექანიზმებით სარგებლობის დაწესებული მოთხოვნები, გამოიყენონ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, შეასრულონ და დაიცვან სამუშაოთა შესრულების, შრომისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები;
2. შრომის დაცვის წესების დარღვევისათვის დასაქმებულებს ეკისრებათ ამ შინაგანაწესით დადგენილი ადმინისტრაციული, მატერიალური ან საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა;
3. კოლეჯის თანამშრომლები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ, როგორც საკუთარ, ასევე სხვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას;
4. გამოიყენონ მათთვის შინაგანაწესით განკუთვნილი შესვენების დრო;
5. არ შეასრულონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებით ისეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას და შეიძლება გამოიწვიოს ტრავმა ან მათ სიცოცხლეს შეუქმნის საფრთხეს;
6. იყვნენ ყურადღებით სამუშაოს შესრულების დროს და რაიმე სახიფათო ფაქტორების წარმოქმნის შემთხვევაში სამუშაო ობიექტზე, არ იმოქმედონ დამოუკიდებლად და სასწრაფოდ აცნობონ სასწავლებლის დირექციას;
7. არ მიატოვონ უყურადღებოდ და სამუშაო ადგილის ხანგრძლივი დატოვების შემთხვევაში, არ დატოვონ ჩართული გათბობის, გაგრილების და სხვა ტექნიკური საშუალებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ხანძარი.
8. ხანძრის კერის აღმოჩენის შემთხვევაში იმოქმედონ ადეკვატურად, თუ მათი მოქმედება

საფრთხეში არ აგდებს მათ საკუთარ სიცოცხლესა და ჯამრთელობას.

9. ექსტრემალური სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში, რომლის დროსაც აუცილებელია შენობის დატოვება, იხელმძღვანელონ საევაკუაციო გეგმით და შეძლებისდაგვარად დაეხმარონ სხვა პირებს შენობის დატოვებაში.

მუხლი 47. შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის წესი

1. კოლეჯის შინაგანაწესში შეიძლება შევიდეს ცვლილებები, რომელიც შეტანამდე უნდა იქნეს განხილული სამუშაო ჯგუფში დაინტერესებული პირების ჩართულობით.

2. შინაგანაწესში მოყვანილი მუხლები, გარკვეულ დროში და გარემოებაში შეიძლება აღარ შეესაბამებოდეს კანონებში განხორციელებულ ცვლილებებს და საზოგადოების მოთხოვნებს, აღარ იყოს მისაღები კოლეჯის თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის, რაზეც კოლეჯის ნებისმიერ თანამშრომელს ან პროფესიულ სტუდენტს აქვს უფლება საკითხის ინიცირების, კოლეჯის რეგულაციების შესაბამისი ფორმით.

შინაგანაწესში შეტანილი ცვლილებები

(2021. 08. 04. N 31 „ო “ ბრძანება)
(2021. 23. 08. N 62 „ო “ ბრძანება)
(2021. 25. 10. N 82 „ო“ ბრძანება)
(2024. 11. 03. N 23 „ო “ ბრძანება)
(2024. 02 .05. N 48 „ო“ ბრძანება)